



კვლევის ამოცანა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ითვალისწინებს დაწესებულების სრულფასოვან შეფასებას, რაც გულისხმობს უსდ-ის რესურსების, რეგულაციების, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის, მიღწეული შედეგების და მისაღწევი შედეგებისათვის შესაძლებლობების (შესაბამისი დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების მექანიზმები და გამოყოფილი რესურსები) შეფასებას. შესაბამისად, სტანდარტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, უსდ-ების შიდა სიტუაციური კვლევის გარდა, მნიშვნელოვანი კომპონენტია შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა. კონკრეტული კვლევა გულისხმობს სტანდარტში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, დამსაქმებელთა კვლევას. კერძოდ: შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობების/მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.

კვლევის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანი იყო კონკრეტული ამოცანების შესახებ პასუხების მიღება. კერძოდ,

- დამსაქმებელთა მოთხოვნა და ქცევა სამუშაოს მაძიებლების მიმართ, როგორც წინა, ასევე მიმდინარე და მომდევნო პერიოდის განმავლობაში;
- შრომის ბაზარზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგებში მოთხოვნადი პროფესიებისა და პროფესიული კომპეტენციების, (შრომისა და განათლების ბაზრის) განსაზღვრა;
- დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების და ზოგადად, უმაღლესი სამედიცინო განათლების ხარისხის მიმართ და ა.შ.

კვლევის მეთოდოლოგია



მოცემული კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს მეთოდით თბილისსა და ზუგდიდში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს დამსაქმებლებთან, ორგანიზაციებში.


პირისპირ ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 25-30 წთ. კითხვარის შემუშავდა კვლევითი კომპანიის კვალიფიციური კადრების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით.

სულ ჩატარდა 30 პირისპირ ინტერვიუ. 30 ორგანიზაციაში.


გამოკითხულ დამსაქმებელთა შორის მონაწილეობდა სხვადასხვა იურიდიული სტატუსის ორგანიზაციები.

კვლევის მიმდინარეობისას რესპონდენტს წარმოადგენდა ორგანიზაციაში დასაქმებული საკვლევ საკითხებზე ინფორმირებული პირი.


რესპონდენტის პოზიცია (თანამდებობა):



ორგანიზაციის იურიდიული ფორმა:




რომელ სფეროში მოღვაწეობს თქვენი ორგანიზაცია?



რამდენი თანამშრომელია ამჟამად თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებული?

■ დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი მთელ პოპულაციაში



პირითადი ნაწილი

თბილისის სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობა გაიზომა როგორც სპონტანური, ასევე შეხსენებითი პრინციპით. ორივე შემთხვევაში მაღალი ცნობადობით გამოიკვეთა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეორე და მესამე პოზიციას იკავებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სხვადასხვა ორგანიზაციული კვლევებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უნივერსიტეტები, რომელთა არსებობა საქართველოს განათლების ბაზარზე ხანგრძლივია, ცნობადობის სკალაზე, პირითადად, წამყვან პოზიციებს იკავებენ.


მოცემულ კვლევაში პირველი სამეულის ფორმირება, იმეორებს გავრცელებული კვლევის შედეგებს, თუმცა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვან პოზიციებზე მოხვედრა, უნივერსიტეტის სწრაფი მზარდი ტემპების, პი-არ კამპანიის და ამასთან, ცნობილი, ისტორიის მქონე სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე საქმიანობის გაგრძელების შედეგია. უნივერსიტეტების საქმიანობის ისტორიული რაკურსის გავლენა რესპონდენტებზე, კონკრეტულ კვლევაში, შეხსენებითი ცნობადობის გაზომვის გრაფიკზე სამედიცინო უნივერსიტეტის წამყვან პოზიციაზე მოხვედრითაც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები არ წარმოადგენდნენ სამედიცინო სფეროს, ცნობადობის ნაწილში მედიცინის პროფილის უნივერსიტეტი, როგორც ძველი და კარგად ნაცნობი წინა პლანზე აღმოჩნდა.

კერძო უნივერსიტეტებს შორის, სპონტანურად, პირველ სამეულში „თავისუფალი უნივერსიტეტი“, „ჯიპა“ და „სეუ“ მოექცა. იგივე უნივერსიტეტები ინაწილებენ პროცენტულ მაჩვენებლებს ცნობადობის შეხსენებით ნაწილში, თუმცა, მათი დასახელების სიხშირე, მნიშვნელოვნად დაბალია პირველი სამეულისგან (სახელმწიფო უნივერსიტეტი). უნდა აღინიშნოს, რომ სფეროს დამსაქმებლებს შორის დიდწილად იყო წარმოდგენილი ტექნოლოგიური განათლების ხაზის რესპონდენტები. შესაბამისად, ზოგადად, უნივერსიტეტთა ცნობადობის ნაწილი, მათთვის საკმაოდ არაკომფორტული აღმოჩნდა. უმრავლესობა, ეყრდნობოდა, საკუთარ ან ახლო გარემოს განათლების ისტორიის წარსულ პერიოდს და დღეს არსებული უნივერსიტეტების დასახელებისას, მსჯელობდნენ მათ ორგანიზაციებში დასაქმებული კურსდამთავრებულების განათლებაზე დაყრდნობით.

კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში სწავლის დონის მიმართ, გამოკითხულთა დამოკიდებულებებიდან ჩანს, რომ მათ უჭირთ იურიდიული სტატუსის მიხედვით, სწავლის დონის შეფასება. გამოკითხულთა 34% თვლის, რომ იურიდიული სტატუსი არ არის გადამწყვეტი - „გააჩნია უსდ-ს“. გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის დონე ერთნაირია. 15,5%-თვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის დონე კერძოზე მაღალია. მხოლოდ 8% თვლის, რომ განათლების მიღება კერძო უნივერსიტეტებში ჯობს.


სპონტანური ცნობადობა: გთხოვთ, დაასახელოთ ყველა არსებული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც გახსენდებათ

გრაფიკზე მოცემულია “პირველ რიგში” დასახლებული პასუხები




სპონტანური ცნობადობა: კიდეც რომელი უმაღლესი სასწავლებელი/ები გახსენდებათ?


გრაფიკზე მოცემულია ის უნივერსიტეტები/სასწავლო უნივერსიტეტები, რომლებიც რესპონდენტებმა “პირველი რიგის” პასუხების შემდეგ გაიხსენეს. კონკრეტულ კითხვაზე ასახელებდნენ რამდენიმე სპონტანურ პასუხს, შესაბამისად, გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი უმაღლესი სასწავლებლების შესახებ გსმენიათ?



თქვენი დაკვირვებით, საქართველოში სწავლების დონე სად უფრო მაღალია სახელმწიფო უსდ-ებში თუ კერძოში?



ძირითადი ტენდენციები

გამოკითხულ ორგანიზაციებში მეტწილად დასაქმებულნი არიან თსუ-ს, ილიას უნივერსიტეტისა და სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაერთიანდა დიდი ორგანიზაციები, მათ შორის, სადაზღვევო და საბანკო, წარმოების, კომუნიკაციების სექტორის წარმომადგენლები და ასევე, საჯარო ორგანიზაციებიდან მნიშვნელოვანი „ცესკო“ და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია. კონკრეტული ორგანიზაციების კვლევაში ჩართვის მიზანს, წარმოადგენდა ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალიფიკაციის თანამშრომელთა მაღალი საჭიროება და რაც მთავარია, ინფორმირების მაღალი დონე.

კონკრეტული კითხვა, ზომავდა, ზოგადად, ორგანიზაციაში დასაქმებულთა სწავლის პერიოდში უნივერსიტეტებთან კავშირს. შესაბამისად, ორგანიზაციების ზომიდან გამომდინარე, უნივერსიტეტთა ჩამონათვალში არ იყო მნიშვნელოვანი საკვლევ თემასთან ასოცირებული სასწავლო დაწესებულებების მოქცევა. მეორე მხრივ, რესპონდენტებს წარმოადგენდნენ ტექნიკური დარგის სპეციალისტები, რომელთაც არ ქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია ორგანიზაციის მთელი საკადრო სისტემის შესახებ და მსჯელობდნენ, მხოლოდ მათი განყოფილების, ან ერთეული პირების სწავლის გამოცდილების შესახებ.


კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, გაგვერკვია, შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნები, მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლებში მოთხოვნილი ცოდნის, უნარების, კვალიფიკაციების ტენდენციების გამოვლენა. მნიშვნელოვანი კრიტერიუმებიდან, რაც კონკრეტული რესპონდენტების მოთხოვნებს შეესაბამება, ახალი კადრის მიღების პორცესში, ან უკავშირდება ვაკანტური ადგილის შევსებისას სასურველ კომპეტენციებს, შემდეგნაირია:

➤ რესპონდენტებს აქვთ მაღალი მოთხოვნა ანალიტიკურ აზროვნებაზე, რაც ლოგიკურ, კრეატიულ, სიახლესთან სწრაფი მორგების შესაძლებლობებს გულისხმობს და კონკრეტული მიმართულებების გამოცდილებაზე.


➤ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი, ზოგად უნარებთან ერთად, სპეციფიკურ ცოდნაზე აკეთებს აქცენტს, როგორცაა ოპერაციული სისტემების ინსტალაცია (34.5%), ზოგადი სისტემების თეორია (22,7%), ონლაინ ოპტიმიზაციაზე ცოდნა და გამოცდილება (20.8%) და რაც მთავარია, ფართო სფეროს თეორიული ცოდნა.

➤ რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია, გუნდურობა, პასუხისმგებლობა, გულისხმიერი მიდგომა და ინიციატივიანობა, რაც რიგ შემთხვევაში, გამომგონებლურ უნარებთან კავშირშია.

დაასახელეთ ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულიც (თუნდაც ერთი) მუშაობს თქვენს ორგანიზაციაში




სკონტანური დასახელება: ორგანიზაციაში რეალურად რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება კადრის შერჩევა



კადრის შერჩევისას ისეთ პოზიციაზე, სადაც აუცილებელია უმაღლესი განათლების დიპლომი, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენს მიერ დასახელებული კრიტერიუმები

■ 10 ქულიანი სკალით დახასიათების საშუალო მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს - მიუღებელია, 10 - სავსებით მისაღებია,



ინფორმაციისა და
კომუნიკაციის
ტექნოლოგიები

ძირითადი ტენდენციები

სფეროს დამსაქმებელთა საკვლევ ამოცანებში გათვითცნობიერებულობის მაღალი ხარისხია, რაც ორგანიზაციის ძირითად საქმიანობასთან თავად რესპონდენტთა უშუალო შემხებლობით და მეორე მხრივ, სფეროს სპეციფიკით იხსნება. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები, რომლებიც დიდ ორგანიზაციებს წარმოადენდნენ, ასევე, შემოიფარგლებოდნენ ვიწრო სპეციალიზაციით, რაც წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი უნარებისა და ცოდნის შესახებ საფუძვლიან ინფორმაციას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საკვლევ საკითხებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიების მიმართულებაზე მაღალი აქცენტისა, რესპონდენტებს ვკითხეთ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგების შესახებ. საკითხის ამგვარი განშლის მიზანს წარმოადგენდა, გაგვეგო რამდენად მიჯნავენ ან რამდენად სკურპულოზური მიდგომა აქვთ, სფეროს დამსაქმებლები კვალიფიკაციებისა და პოზიციების კავშირისას, კადრების დასაქმების დროს.

კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე კომპიუტერული ქსელის ადმონისტრირება, ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული სიტემების სპეციალისტთა დასაქმება ყველაზე მაღალი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა გადმოცემით, გრაფიკზე მოცემული პროპორციების გარდა, მათ ამ მიმართულების კადრების დასაქმება, დროებითი ხელშეკრულებებითაც აქვთ, საჭიროებებიდან გამომდინარე, მაგალითად, წინასაარჩენო პერიოდი - ცესკოში, ახალი სერვერის ინსტალაცია - ტელევიზიაში და ა.შ.

ძირითადი ტენდენციები

ზოგადად, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგების სპეციალისტთა მიღება რესპონდენტთა გადმოცემით, სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, საინტერესოა, რომ იმ კადრების მიღება, რომლის გამოციდლებაც ყველაზე მაღალი აქვთ, ნაკლებად პრობლემურია, ვიდრე უფრო სპეციფიკური სპეციალობების. მაგალითად, პროგრამული ინჟინერიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სათანადო ცოდნა, რესპონდენტთა გადმოცემით, დღეს შრომის ბაზარზე დაბალია და ამასთან მოთხოვნადი.

გამოკითხულები თვლიან, რომ შრომის ბაზრისთვის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგების სპეციალისტთა მომზადება, ჯეროვნად მიმდინარეობს, თუმცა, მათ არ აქვთ სათანადო განათლება და რაც მთავარია, გამოცდილება. მეორე მხრივ, კადრებს, რომელთაც აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, აქვთ „მაღალი ამბიციები“ და ხშირია შემთხვევები, როდესაც არ თანხმდებიან დამსაქმებლის მიერ შთავაზებულ პირობებს, ანაზღაურების, ან ზოგადი უნარების ნაწილში მოთხოვნის გამო, რომელთა შორის, დისციპლინა და პუნქტუალობა, ყველაზე პრობლემურია.

რესპონდენტთა გადმოცემით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგების მოთხოვნა ბაზარზე, უფრო და უფრო მზარდია. კონკრეტულ კვლევაშიც ჩანს, რომ გასული 5 წლის მანძილზე მოთხოვნად კადრებს, მნიშვნელოვნად აღემატება, სამომავლოდ დაგეგმილი ვაკანსიების რაოდენობა. საინტერესოა, რომ სპეციფიკური სფეროების გარდა, რომელთა საქმიანობა გულისხმობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, საჯარო მართვას ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მოთხოვნა აქვს, როგორც დიდ ორგანიზაციას და შესაბამისი საჭიროების მქონეს.

კონკრეტულად ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნა, დამსაქმებელთა გადმოცემით, მზარდი ტენდენციის მატარებელია. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიზნესი და წარმოება, ინფორმაციული სისტემების მცოდნე კადრების საჭიროებას და უფრო მეტად, დეფიციტს, ასევე განიცდის.


ძირითადი ტენდენციები

ამ მხრივ, საინტერესოა, მომავალი 1 წლის განმავლობაში, უკვე განსაზღვრული ვაკანსიები, რომელთა შევსებაც, დამსაქმებლებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულებით სურს. კვლევის ფარგლებში 30 დამსაქმებლიდან ამ მიმართულებით დასაქმების 29 ვაკანსია, რესპონდენტებში უკვე განსაზღვრულია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, საგულისხმოა, რომ საკომუნიკაციო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადმოცემით, მათი საჭიროებები ცვალებადია და რთულია, წინასწარ შორეული მომავლის დახასიათება, საჭირო კვალიფიკაციების მიხედვით.

რესპონდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების სპეციალისტის მოთხოვნა, ყველაზე მაღალია. ხაზგასასმელია საკითხი, რომ კონკრეტული ვაკანტური ადგილის თანმიმდევრობა გრაფიკზე ან მოთხოვნის წილზე მნიშვნელოვანი, თავად ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა სამსახურებრივი ვალდებულებები და პოზიციებია. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, დასახელდა - დოკუმენტური საინფორმაციო სისტემის, უწყვეტ ინფორმაციულ სისტემაზე პასუხისმგებელი პირის, ქსელური აპარატურის სპეციალისტი/მემონტაჟის, სტრატეგიული ტექნოლოგიების, ACS და GIS ინფორმაციული სისტემების სპეციალისტთა საჭიროება. ფინანსური და წარმოების სექტორი ინფორმაციული სისტემების მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდაზე ძალზე მნიშვნელოვნად აკეთებს აქცენტს, რადგან, ორივე სექტორი მსხვილ ორგანიზაციებით არის შევსებული შრომის ბაზარზე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, გამართული სისტემების აგებასა და მათ მართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზაციების არათუ, საქმიანობის ხარისხის კლება, არამედ, რისკი დგება, რაც მათ ფინანსურ შემოსავლებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამდენი კურსდამთავრებული მიიღეთ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგების სპეციალობით, შემდეგი კვალიფიკაციების შესაბამისად?


■ მიღებული თანამშრომლების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი



გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიან სკალაზე, თქვენს ორგანიზაციაში ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული კადრების კვალიფიკაციით კმაყოფილება (1 ნიშნავს, სრულიად უკმაყოფილო, ხოლო 5 - სავსებით კმაყოფილი).


კმაყოფილების საშუალო ქულა - 4.1 ქულა

რთული იყო თუ არა თქვენს მიერ დასახელებული ქვემოთ ჩამოთვლილი კვალიფიკაციის კადრების აყვანა?




თუ კადრების აყვანა იყო რთული, რა იყო ამის მთავარი მიზეზი?

- აპლიკანტების სიმწირე/ნაკლებობა შრომით ბაზარზე
- აპლიკანტებს არ ჰქონდათ საჭირო ცოდნა/ კვალიფიკაცია
- დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული პირობები




აპირებს თუ არა თქვენი ორგანიზაცია უახლოესი 1 წლის განმავლობაში ახალი კადრების მიღებას/ვაკანსიების გამოცხადებას კონკრეტულად, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სპეციალობით? **ჭრილი სფეროების მიხედვით**

■ აპირებს ■ არ აპირებს




გთხოვთ, ჩამოთვალოთ დღეისათვის არსებული, სამომავლოდ უკვე გათვალისწინებული, ან სასურველი უმაღლესი განთლების შესაბამისი ვაკანტური პოზიციები (კითხვას უპასუხეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც უახლოესი 1 წლის განმავლობაში აპირებენ კადრების აყვანას (78.3%))


■ დაგეგმილი ვაკანსიების რაოდენობა პოზიციების მიხედვით




გთხოვთ, ჩამოთვალოთ დღეისათვის არსებული, სამომავლოდ გათვალისწინებული, ან სასურველი უმაღლესი განთლების შესაბამისი ვაკანტური პოზიციები (კითხვას უპასუხეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც უახლოესი 1 წლის განმავლობაში აპირებენ კადრების აყვანას (78.3%))




ვაკანტური პოზიციების გადანაწილება გამოკითხული ორგანიზაციების სფეროების მიხედვით




დღეისათვის არსებული, სამომავლოდ უკვე გათვალისწინებული, ან სასურველი ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალიფიკაციის ვაკანტური პოზიციები (კითხვას უპასუხეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც უახლოესი 1 წლის განმავლობაში აპირებენ კადრების აყვანას (ამ ეტაპისთვის გათვალისწინებული ან დაგეგმილი 29 ვაკანსია)




მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა დაგეგმილი/წარმოდგენილი უახლოესი 1 წლის კადრების დენადობის სურათი, უშუალოდ თქვენი ორგანიზაცია რომელი პროგრამების/კვალიფიკაციის კადრების საჭიროებას განიცდის?



დაასახელეთ მოთხოვნილი საფეხური/დონე:



რა არის ის ძირითადი საშუალებები, არხები, წყაროები, რასაც იყენებთ კადრების მოძიების დროს?



თქვენი ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს თუ არა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესებში?

იძიებს/იღებს ინფორმაციას თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების/ტექნოლოგიების შესახებ


65.3%

იძიებს/იღებს ინფორმაციას განათლების საკითხების/სიახლეების შესახებ

12.1%

არცერთი

22.6%



როდესაც თქვენს ორგანიზაციას სჭირდება მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება, ძირითადად, ცდილობთ მოიძიოთ ქვეყნის შიგნით, თუ ეძებთ ქვეყნის გარეთ?

■ ვეძებ ქვეყნის შიგნით ■ ვეძებ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ

